

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო  
კომისიის სხდომის

ოქმი N 10

ქ.ვანი თავისუფლების N65

7 აგვისტო 2019 წელი

11:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაძე, შოთა გიორგაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, თამთა დვალიშვილი, გელა ვარდოსანიძე.

**საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ:** მალხაზ ცერცვაძე, გია ოჩხიკიძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, კობა მაგნიძე.

*სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.*

*/დანართი N1/*

**მოწვეული პირები:**

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია.**

**კომისიის სხდომის თავმჯდომარე** - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე .**

**დღის წესრიგი**

1.ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 6-თვის შესრულების მდგომარეობისა და სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხს: ივანე მამფორია

**დაადგინეს;** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს :**

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 6-თვის შესრულების მდგომარეობისა და სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ ინფორმაცია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2018 წლის 28 დეკემბერს, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N125 დადგენილებით. შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 7400,0 ათასი ლარის ოდენობით. 2019 წლის განმავლობაში ბიუჯეტში იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 12967,4 ათასი ლარის, გადასახდელები 16584,1 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება -3616,7 ათასი ლარის მოცულობით.

2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა 12401,8 ათასი ლარით, ხოლო 6 თვის გეგმა 6996,0 ათასი ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტში მობილიზებულია 6586,3 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 51,2-% და საანგარიშო პერიოდის გეგმის 94,1-%-ს შეადგენს.

გადასახადების 2019 წლის საპროგნოზო მოცულობა 6681,8 ათასი ლარით, ხოლო 6 თვის გეგმა 3499,6 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული 3146,5 ათასი ლარი წლიური გეგმის 47,1% და საანგარიშო პერიოდის გეგმის 89,9%-ია. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილების 2019 წლის 6 თვის შესრულების მაჩვენებელი -1447,9 ათასი ლარია.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის ასიგნებების მოცულობა 724,0 ათასი ლარით დაიგეგმა. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი 348,9 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 48,2%-ს და საანგარიშო პერიოდის გეგმის 368,6 ათასი ლარის 94,7%-ია, ხოლო ვანის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის ასიგნებების მოცულობა 1828,3 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი 849,1 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 46,4%-ს და საანგარიშო პერიოდის გეგმის 962,3 ათასი ლარის 88,2%-ია.

რაც შეეხება ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით, 2019 წლის ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილი წესისა და ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. სარეზერვო ფონდიდან 6 თვის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებისათვის 59,5 ათას ლარს შეადგენს, საიდანაც სხვა ხარჯების მუხლით 3,0 ათასი ლარი მიიმართა, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 54,5 ათასი ლარი.

კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი საკითხი რომელთა მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა

#### **დაადგინეს:**

კომისიამ განიხილა და მხარი დაუჭირა ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 6-თვის შესრულების მდგომარეობისა და სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ ინფორმაციის მოსმენას.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

წარმოდგენილი საკითხი მზად არის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

#### **დაადგინეს:**

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/დანართი N 2/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე